საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9429/01
06/10/2022

9429-01-2-202210061643

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას

თქვენი წერილის (#34-342226686 23.09.2022) პასუხად, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიღაურაში მდებარე 370 კვ.მ მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირების საკითხს. გაცნობებთ, რომ აღნიშნული ნაკვეთი საკადასტრო-აზომვითი ნახაზის საფუძველზე არ მდებარეობს დაცული ტერიტორიებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებში.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილის (#21/5880 05.10.2022) თანახმად, წარმოდგენილი ნაკვეთის მიმდებარედ ფიქსირდება 11.8 კმ სიგრძის სეზონური მდინარე რუსსის-ხევი. ნაკვეთზე ან მის ნაწილზე შესაძლებელია ვრცელდებოდეს წყალდაცვითი ზოლის მოთხოვნები, რომელშიც „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 19, 20) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული "წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (მუხლი 2) თანახმად, მყარდება სპეციალური რეჟიმი წყლის რესურსების დაბინძურების, მოლამვისა და დაშრეტისაგან დასაცავად.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 20. პ.3.) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული "წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (მუხლი 2.) თანახმად, მდინარეების წყალდაცვითი ზოლის სიგანე აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს მეტრებში და 25 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისთვის დადგენილია 10 მეტრი.

წყალდაცვით ზოლში მოხვედრილ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული „წყლის შესახებ" საქართველოს კანონით (მუხლი 20. პ.4) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31

დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული "წყალდაცვითი ზოლის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული წყალდაცვითი ზოლის გავრცელების პირობები, დადგენილი აკრძალვები და სპეციალური მოთხოვნები.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე